№ 124

ხუთშაბათი, 15 ივნისი 1895

1877—1895

№ 124

ხუთშაბათი, 15 ივნისი 1895

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერიის“ რედაქციისაგან:

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნმა ვასილ ყიფიანმა თავი დაანება ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორობას და გუშინ-წინ ესე იგი, 13 ივნისს მის მაგიერად ამორჩეულ იქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან ბ-ნი სვიმონ ღოღობერიძე თანახმად ქუთაისის სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წარმოდგენისა.

*** დონის ნახიჩევანში და არმავირში რუსეთისა და ინგლისის კაპიტალისტთა საზოგადოება ჰმართავს დიდს ქარხნებს, რომელთ უნდა აკეთონ ყოველგვარი სამეურნეო იარაღი და მაშინა, აგრეთვე ვაგონებისა და ორთქლის მატარებლის ნაწილები. ამ ქარხნებზედ დასჭირდებათ 2500 მუშამდის.

*** ტფილისის მეორე სავაჟო გიმნაზიაში წელს კურსი გაათავა 44 მოწაფემ. მათ შორის ცამეტი ქართველია: პავლე არდაზიანი, გიორგი გაბაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გაბრიელ გვერდწითელი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, პავლე ზავრიევი, ნათიშვილი გიორგი, კონსტანტინე მაყაშვილი, გრიგოლ მზარეულიშვილი, გიორგი მირიანაშვილი, იოსებ პაიჭაძე, გრიგოლ რცხილაძე, მაქსიმილიან ჭავჭავაძე და კონსტანტინე კანდელაკი. ალექსანდრე ჯავახიშვილი ვერცხლის მედალით იქმნა დაჯილდოვებული.

*** გორი: აქაურს სამასწავლებლო სემინარიაში წელს კურსი დაასრულა 17 კაცმა, რომელთა შორის მხოლოდ ორია ქართველი: ღლონტი ირაკლი და ბახტაძე სამსონი.

*** „მეფე გიორგის ცხოვრების“ პ. იოსელიანის მიერ აღწერილისა, რომელიც ხელის მოწერით იბეჭდებოდა, ბეჭდვა უკვე გათავდა და მომავალს კვირას გამოვა წიგნათ.

*** ჩვენ გვთხოვენ განვაცხადოთ შემდეგი: იოანე ბატონიშვილის მიერ აღწერილი წიგნი „კალმასობა“ მეორედ უნდა დაიბეჭდოს დ. ბაქრაძის წინასიტყვაობით. ამიტომ გამომცემელი ითხოვს, რომ თუ ამ წიგნის ძველი ხელთნაწერი ვისმეს მოეპოვება, დროებით წარმოადგინოს „ივერიის“ რედაქციაში და ათხოვოს გამომცემელს დასაბეჭდად.

*** სომეხთა კათალიკოსმა მკრტიჩმა პეტერბურგში, ამ დღეებში ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი თავ. ლობანოვ-როსტოვსკი. კათალიკოსი მინისტრს ესაუბრებოდა შესახებ იმ 40,000 სომხებისა, რომელნიც იძულებულნი იყვნენ სასუნში მომხდარ ამბოხების დროს ოსმალეთი მიეტოვებინათ. მათ არ უნდათ დაბრუნდნენ, ვიდრე სომეხთა საქმეს არ გადასწყვეტენ სახელმწიფონი. ეს გარდახვეწილნი ეჩმიაძინის მიდამოებში არიან აყ დაბინავებულნი და შეშწეობა ეჭირვებათო.

*** ტფილისის პირველს საქალებო გიმნაზიაში წელს კურსი დაასრულა რვა ქართველმა ქალმა: ასათიანისა იულია, მარგალიტა ბერუჩიშვილისა, სოფიო გვარამაძისა, ბარბარე გიგაურიშვილისა, მარგალიტა ჯაყელი, ელენე ჯომარიძე, თამარ თულაშვილისა და ანნა ჭყონია.

ამავე გიმნაზიის ორ-კლასიანი პედაგოგიური კურსი გაათავეს ხუთმა ქართველმა ქალმა: თამარ იოსელიანისამ, ელენე მესხიშვილისამ, ვერა მახათაძისამ, ნინო ოქრომჭედლიშვილისამ და თამარ საყვარელიძისამ.

*** ჩვენ მივიღეთ „მოკლე ქართული გრამმატიკა“ შედგენილი და გამოცემული ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის ანდრია სიმ. ბენაშვილის მიერ.

წიგნი შეიცავს 42 გვერდს და ყდით ღირს ხუთი შაური.

*** ბათუმიდგან ბ-ნ ბუჩუკურისაგან მოგვივიდა ორი თუმანი ქიზიყის დეპო-ბანკისათვის გადასაცემად.

*** „ნოვ. ობოზრ“.-ს სიტყვით გორის მაზრის სოფელ ალში ფილოქსერა აღმოუჩენიათ.

*** ქ. ბაქო: აქ აგერ მეორე წელიწადია, რაც ბაქოს რკინის გზის სადგურის თეატრი არსებობს, სადაც ყოველ თვეობით იმართება რუსული წარმოდგენები და უკრავს ხორო მუსიკისა, რომელსაც კარგად შეუსწავლია ამ ცოტა ხანში ყოველგვარი სამუსიკო ხმები. 11 ამა თვისას აქაურმა ქართველმა მოსამსახურეებმა სცენის მოყვარეთაგანმა გამართეს საქველ-მოქმედო ქართული წარმოდგენა; წარმოადგინეს ა. ცაგარლის სამ-მოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და ვოდევილი ვ. გუნიასი „მონადირე“. როგორათაც სცენის მოყვარეთაგან მოსალოდნელი იყო, ორივე პიესამ გვარიანად ჩაიარა, მხოლოდ სამწუხაროა, რომ, აქ ბაქოში, იმოდენა ქართველობა არის და გულ-გრილად უყურებს ამისთანა კარგს საქმეს.

*** იქიდგანვე: 10 ივნისს აქ ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ტელეგრაფისა და ტელეფონის ბოძები წააქცია და სახლებს ბურული მოაძრო, ქარი დილამდის არ შეწყნარებულა. საშინელი სიცხეები დაიწყო, ხალხი ძლიერ ბევრი მიდის ბორჯომს.

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელს „ივერიაში“ დაბეჭდილს ახალ ამბავში სათავად-აზნაურო ბანკის ქალაქისა და სოფლების მამულების საჯაროდ ვაჭრობის შესახებ შეცდომით არის მოხსენებული, რომ საჯარო ვაჭრობა 24-სა და 26 ივნისს მოხდებაო. ვაჭრობა მოხდება ივლისში და არა ივნისში.

## კორესპონდენცია.

**სოფ. ბორჩხა,** (ჭოროხის ხეობა). ამ ერთის კვირის წინად აქაურ ქართველთა მაჰმადიანების ყურბან ბაირამი იყო, მაგრამ აქამდის აქ მოლლებს ვერ მოუხერხებიათ, რომ ეს საერო დღესასწაული მაჰმადიანთ ერთსა და იმავე დროს იუქმონ. დროს აღრიცხვის უცოდინარობისა და კალენდრის უქონლობის გამო ბაირამს სხვა-და-სხვა დროს დღესასწაულობენ ხოლმე. ამითი, რასაკვირველია, ხალხი ბრკოლდება. საჭირო იყო, რომ ყოველგან, სადაც მოლლები არიან,

## ფელეტონი

***

წინ დაიხედე, ძმობილო,
გზები არს ტალახიანი,
არ შაერიო არ მოგხვდეს
მათ სუნისაგან ზიანი;
იმა მხარეზედ იარე—
სადაც ჰყვავიან იანი,
სადაც აკმევენ თვის სუნსა
პიტნა, ზამბახი, რეჰანი.

### „Madame Sans-Gêne“.

(მადამ სან-ჟენ)

ოთხ-მოქმედებიანი კომედია

ვ. სარდუსი და მოროსი.

(შემდეგი *).

გამოსვლა 5.

კატრინ მარტო, შემდეგ ნეიპერი.

კატრინ. მეც წავალ, აქ მარტო რა გავაკეთო? (აიღებს სკამიდგან მოსასხამს) ოღონდ ლეჶევრი ვნახო და! (უნდა გავიდეს მარჯვნით პირველ კარებში, ნეიპერი შემოდის ამ კარებში და მოისურავს) მოითმინეთ, ეს რა არის? ძალიან თამამი ბრძანებულხართ!

ნეიპერ. (მიჰკვრილი კარებზედ, ყურს უგდებს) ჩუმათ, ღვთის გულისათვის ჩუმათ, თორემ დავიღუპე!

კატრინ. როგორ თუ ჩუმათ! კარგია თქვენმა მზემ! განა არ შემიძლია ვიყვირო, რამდენიც მნებავს? ხედავთ ამას?. განა ასე შეიძლება შემოსვლა უცნობთან?

ნეიპერი. (მდივს ფეხზედ დგას) ღვთის გულისათვის დაჩუმდით! მე მომდევენ... იმათ დაკარგეს ჩემი კვალი... შემთხვევით თქვენს ეზოში შემოველ... (წინ მოდის და სავარძელს დაეშვება) დაჭრილი ვარ...

კატრინ. (ხელს მოჰკიდებს) დაჭრილი? ღმერთო ჩემო! საცოდავი!..

ნეიპერი. ტულერიდგან გამოვიქეცი!

კატრინ. (შიშით) რაო? საიდგან?

ნეიპერი ტულერიდგან... მე ნეიპერი ვარ, ავსტრიელი...

კატრინ. (გულ-მოსული) მაშ თქვენ როიალისტი ხართ, მეფის მომხრე?

ნეიპერი. მე აღვასრულე ჩემი მოვალეობა.... (ჩაჯდება) ვიცავდი დედოფალს...

კატრინ. მარი-ანტუანეტს? (დამშვიდებით) ოჰ, ამისათვის არავინ დაგგმობთ, დედოფალი თქვენებურია და... ამას გარდა... დაჭრილი ხარ. ნურაფრის გეშინიან... ხელს ვერავინ გახლებს აქ!..

ნეიპერი. გმადლობთ!..

კატრინ. (აიღებს სუფთა თეთრეულს) მძიმეთ ხართ დაჭრილი... რა ადგილს?

ნეიპერი. აი აქ გვერდზედ.

კატრინ. (სუფთა სარეცხს დაჰხევს) მოითმინეთ,.. ეხლავ შეგიხვევთ ჭრილობას...

ნეიპერ. ხომ ხედავთ, რა კარგად მოვიქეცი, რომ აქ, თქვენთან შემოველ!.. (ხმაურობა მოისმის) გესმით?

კატრინ. ნუ გეშინიათ... გამვლელებია!..

(მოისმის დაპარაკი და თოფის კონდახის ცემა ძალადზედ) არა, კარებთან შეჩერდნენ!.. (ნეიპერი წამოდგება).

ლეჶევრი. (კარებს აბრახუნებს) ეი, კატრინ!..

კატრინ. ეს ლეჶევრია!.. (მოისმის სიცილი).

ლეჶევრი. იქნება შინ არ არის!..

კატრინ. ადით ზევით... ჩქარა.

ნეიპერი. (ცდილობს კიბეზედ ავიდეს). არ შემიძლიან!..

კატრინ. მაშ აქეთ, ჩემს ოთახში. (მიჰყავს მარცხნა კარებისაკენ).

ლეჶევრი. კატრინ, შინა ხარ?

ხმები. Sans-Gêne! madame Sans-Gêne.!

კატრინ. მოითმინეთ... ეხლავე (მიიყვანს კარებთან—აძლევს თეთრეულს) თქვენ თითონ შეიხვიეთ ჭრილობა... მე მალე შემოვალ... წყნარად იყავით, სული გაკმინდეთ, თორემ დაიღუპებით. (დაჰკეტავს კარებს და გასაღებს ჯიბეში იდებს).

ლეჶევრი. (კარებს აჯიდებს) გძინავს, თუ რა ამბავია? ჩქარა-მეთქი!!.

კატრინ. მოვდივარ, მოვდივარ! რა მოუთმენელი რამა ხარ! (გააღებს შუა კარებს, სცენა განათდება. ლეჶევრი და რამდენიმე გვარდიელნი შემოდიან, თოფებს კუთხეში მიაწყობენ. ხალხი მოჩანს ქუჩაზედ).

გამოსვლა 6.

კატრინ, ლეჶევრი. გვარდიელნი ვაბუტრენი, რუსსო და ჟოლიკერ.

ლეჶევრი. განა ასე უნდა დამიხვდე? დახე! კოცნასაც არ მიპირებს!..

კატრინ. (მოეხვევა) როგორ არა, როგორ არა, ჩემო კარგო!

ლეჶევრი. კიდეც გავიმარჯვეთ და არც დაჭრილი ვართ!.. აბა, მეგობრებო! გთხოვთ იცნობდეთ, კატრინ იუბშე, Madame Sans-Gêne-ათ წოდებული მთელს უბანში, ესეც ჩემსავით ელზასელია, ერთის ქვეყნიდგანა ვართ! მაგრამ იცი, ჩვენ შემთხვევით მოველით აქ!..

კატრინ. როგორ! პირდაპირ ჩემთან არ მოსულხარ!..

ლეჶევრ. არა!.. ერთს ბობოლას მოვდევდით... და სად დაგვემალა, რა იქნა?.. ეს არის აქამდის მოვატანეთ, მგონი კიდეც დავჭერით... ეჰ! რა გვწყურია... დაგვალევინე რამე... (დაინახავს ღვინოს) ოოჰ, ღვინოც აგერ ყოფილა...

კატრინ. მოითმინე... თქვენთვის უკეთესი ღვინო მაქვს! (გამოიღებს უჯრიდგან ორ ბოთლს და რამოდენიმე სასმისს).

ჟოლიკერ. აი, ამისათვის-კი მადლობელი ვართ!..

კატრინ. რას ამბობთ?.. ღვინოს-კი არა, სულს არ დავიშურებ თქვენთვის! ხუმრობა საქმეა განა ტულერის აღება!..

ლეჶევრი. რა გაბრაზებული ომობდნენ შვეიცარიელნი!..

კატრინ. შენ ხომ დაჭრილი არა ხარ?

ლეჶევრი. (სვამს) არა! როგორ მოგვივიდა, ის ბობოლა რომ გაგვექცა. ვაყურებინებდი მის სეირს!

კატრინ. მერე არა გრცხვენია, რომ ეგეთი უგულო ხარ—შეყვარებული ვარო-კი გაიძახი და განა შეყვარებულნი ეგრე უმოწყალონი უნდა იყვნენ?..

ლეჶევრი. მეგობრებო! მე სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ ეს ქალბატონი ჩემი საცოლეა! (ყველანი უცდიან და სმენ) აბა, შეხედეთ! (აჩვენებს მარცხენა მაჯას).

კატრინ. მაჯაზედ ამოიწვა გული, რომელიც ისრით არის დაჭრილი და წააწერა.

ლეჶევრი. „Madame Sans-Gêne“...

კატრინ. „სიკვდილამდის“ (მოეხვევა).

ყველანი. ძალიან კარგია!

რუსო. რაღას უცდით! რათ არ იწერთ ჯვარს?

კატრინ. ეგ ჩემი ბრალია! ვიცდი, მანამ იჭვიანობას თავს დაანებებს.

ლეჶევრი. რადგან ეგრეა, შეგვიძლიან ახლავე წავიდეთ ეკკლესიაში, იმიტომ რომ მე სრულებით აღარ ვეჭვიანობ.

კატრინ. როგორ არა... ახლავე დაგიჭერთ. პირველ უბრალო რასმეზედ ისეთს შფოთს ასტეხ, რომ...

ლეჶევრი. გეფიცები, არას დროს.

ვაბუტრენ. ახლა-კი დროა წავიდეთ.

ლეჶევრი. შენ წამოხვალ ჩვენთან?

კატრინ. რა უნდა გავაკეთო იქ?

ლეჶევრი. (ხელებზედ დაიხედავს) რა რიგ შევმურულვარ, თითქოს ბუხრის მწმენდელი ვიყო!

*) იხ. „ივერია“, № 123.

თითო კალენდარი მაინც იქონიონ; თუ სხვაფრივ არა, ამ წესით მაინც ეცოდინებათ საერო დღესასწაული.

სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხეობაში ბაირამ დღეს არავითარი დროს გატარება და თამაში არ იციან, როგორც ზედა და ქვედა აჭარაში. ამათში, როგორც დრო და ჟამი მიდის, ისე ჰქრება თურმე ძველთაგან დარჩენილი ცეკვა-სიმღერა; აქ ვერსად გაიგონებთ იმისთანა სიმღერას, რომელიც ცოტათი მაინც ჰგვანდეს ჩვენებურს. აქაურები, როგორც გამოვლიან ჯამედგან, მიულოცავენ ერთმანეთს ბაირამს და მაშინვე სახლისკენ მიდიან სადილად. სადილის შემდეგ სამსა და ოთხს კაცს ვერ შეხვდებით თავ-მოყრილს, რომ რაიმე სათამაშოთი შეიქცევდნენ თავს; ზოგს სძინავს და ზოგიც კიდევ მუშაობს.

აჭარაში-კი სულ სხვას ვხედავთ ამ დღეებში: იქ დილიდგან საღამომდის ათას ნაირს სხვა-და სხვა თავ-შესაქცევს რასმეს ნახავთ. რამოდენიმე სოფლის ყმაწვილები მოიყრიან თავს ერთ კარგს მინდორ ადგილზედ და აქ გამართვენ სხვა-და-სხვა ქართულ-თათრულ სიმღერა-თამაშს, მაგრამ იმათი სიმღერა-თამაში გურულ სიმღერებიდგან არ განირჩევა. მართლაც ამათ რომ მაშინ უყუროთ, თქვენი თავი აჭარაში-კი არა, გურიის ჯარიანობაში გეგონებათ. მხოლოდ ამათ განსხვავება მითი აქვთ გურულებთან, რომ გურიაში ჭიდაობა არ იციან და აქ-კი დიდად მიღებულია. ხანდისხან ქვაბლიანიდგან და მესხეთიდგანაც-კი გადმოჰყავთ მოჭიდავეები აჭარაში და მაშინ იმართება დიდი საინტერესო ჭიდაობა. მესხებს აჭარლები უძახიან ფოცხოვის საბოქაულოში მცხოვრებლებს და ჭარლები და მესხები როდესაც ჭიდაობენ, არიქა ბიჭებო, მესხმა არ გვაჯობოს და სირცხვილი არ ვჭამოთო, გაიძახიან. თუმცა დიდ სირცხვილად მიაჩნიათ აჭარლებს ამ დროს დამარცხება, მაგრამ ჭიდაობაში თითქმის ყოველთვის მესხები იმარჯვებენ. აქ ერთი სასიამოვნო ისიც არის, რომ სადაც თამაშობაა გამართული, იქვე ახლოს გორაკზედ ქალებიც მოიყრიან თავს და იქიდგან სეირობენ. ამას გარდა ქალებიდგანაც გაიგონებთ გურულ წვრილის ხმით სიმღერას, რომელსაც კარგად მღერიან და სასიამოვნო გასაგონიც გახლავთ. როდესაც ქალები დაიწყებენ სიმღერას, მაშინ კაცები, თუ მღერიან, გაჩუმდებიან და ქალების სიმღერას ისმენენ და არ უშლიან ქალებს ხელს. ასე და ამ ნაირად, საღამოს დროს, გაიმართება ჯირითი და ამითი ბოლოვდება ბაირამი და ყველა ნასიამოვნები ბრუნდება შინ.

ივ. ჯაიანი.

---

**თიანეთი,** 30 მაისს. აგვისრულდა დიდის ხნის სურვილი და ჩვენ მიერ მთავრობასთან დასამტკიცებლად წარგზავნილი თხოვნა სამკითხველო-წიგნთ-საცავის დაარსების შესახებ თიანეთში დამტკიცებულ იქმნა. რა-კი სასურველი პასუხი მოგვივიდა, დიდხანს აღარ ვიცადეთ და 30 მაისს დიდის ამბით გავხსენით ჩვენი ახალი სამკითხველო-წიგნთ-საცავი.

11 საათზედ, დილით, მთელმა თიანეთის საზოგადოებამ სამკითხველო-წიგნთ-საცავის წინ მოიყარა თავი. სხვათა შორის, იყვნენ თიანეთის ქალთა და ვაჟთა სასწავლებლების მოწაფენი თვისის მასწავლებლებითურთ. პარაკლისი გარდახდილ იქმნა ბლაღ. მღ. ი. კოშორიძის მიერ, რომელმაც შემდეგ შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა:

„პატიოსანნო მსმენელნო!

წმ. მოციქული პავლე თავისს მოწაფე ტიმოთეს შორიდგან შემდეგს დარიგებასა სწერს: „ვიდრემდე მე მოვიდე, ეკრძალე საკითხავსა, ნუგეშინის ცემასა მოძღვრებასა... ხოლო შეგინებულთა მათ დედა-ბერებრთა ზღაპართაგან იჯმენ“. (I ტომ. IV. 7—13), ე. ი. მინამ მე მოვიდოდე და განახავდე, შენ დროს ცუდ-უბრალოდ ნუ დაჰკარგავ, ნუ აჰყვები ზარმაცთ, მზაკვართ, ცბიერთ პირთ, ხოლო წიგნების კითხვაში და სწავლაში ატარებდე დროსაო... აქედგან ნათლადა სჩანს, რომ წმ. მოციქული პავლე დიდს მნიშვნელობას აძლევს სასარგებლო წიგნების კითხვას და ურჩევს თავისს მოწაფეს განაგრძოს იგი. ამისათვის—ამ დღევანდელის დღის შემთხვევისა გამო—თიანეთის წიგნთ-საცავის დაარსებისა, მე მსურს პატივცემულს კრებას ორიოდე სიტყვა მოვახსენო.

პატივცემულს საზოგადოებას უკეთ მოეხსენება სარგებლობა და მნიშვნელობა წიგნების კითხვისა: რადგან დამაარსებელთა ამა სამკითხველოისა აზრად აქვთ მდაბიო ხალხში სასარგებლო წიგნების კითხვა გაავრცელონ და მასთან ერთად ხალხს უმეცრებასთან ბრძოლა გაუადვილონ, ამიტომ ჩემი სიტყვა თქვენდამი არა რჩევა და დარიგება იქნება, არამედ თანაგრძნობა.

ჩვენის ცხოვრების ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენს ქვეყანას აუარებელი მტერი ერტყა გარშემო; მტერს უნდოდა ჩვენი სახსენებელი აღმოეფხვრა და ჩვენს ქეყანას იგი დაჰპატრონებოდა. ქართველნი მედგრად ებრძოდნენ მტერს და სადაც-კი საჭიროდ სცნობდნენ, ციხე-სიმაგრეებს აშენებდნენ და აქედგან შესაფერის იარაღით შემოსილნი თვისს ვინაობისა და სარწმუნოებისა დასაცველად იბრძოდნენ. თუმცა მოუსვენარსა და აღშფოთებულს ცხოვრებაში იყვნენ ჩვენნი წინაპარი, მაინც სწავლა-განათლებას შესაფერს ზრუნვას არ აკლებდნენ. ამის დასამტკიცებლად, სხვათა მრავალთა საბუთთა შორის, მოვიყვანთ მხოლოდ იმ მაგალითს, რომ ჩვენნი წინაპარნი ქალს მზითვად ოქრო-თვალ-მარგალიტებს-კი არა, არამედ ორს წიგნს ატანდნენ: წმიდა სახარებას და ჩვენის დიდებულის პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსანს“. ჩვენი ძველი დედები აი ამ წიგნებითა ზრდიდნენ შვილებს და აკვანშივე სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარულს უნერგავდნენ.

მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ გარეშე მტრების სამაგიეროდ გვყავს შინაური მტრები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებას არა ნაკლებ გარეშე მტრებისა ასუსტებენ და აუძლურებენ. რომელი მტრებია ეს? უმეცრება, უსწავლელობა და განუვითარებლობა... რომ დავუკვირდეთ ცხოვრებას და მისს მსვლელობას ჯეროვანი თვალ-ყური ვადევნოთ, ცხადად დავინახავთ, რომ უმეცრება არამც თუ კერძო კაცს, მთელს ერს დიდს დაღს ასვამს, აუძლურებს, როგორც სულიერად აგრეთვე ხორციელად (მატერიალურად).

ამ უმეცრებამ, ამ განუვითარებლობამ ჩვენი ერთს დროს გაჩაღებული ოჯახი შეარყია. ქრისტიანულს ძმობა-ერთობას ბოლო მოუღო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი სჯული დაგვავიწყა, ცრუ-მორწმუნოება გაგვიმრავლა, სიკვდილი გაგვიხშირა და დიდს სილატაკეში ჩაგვყარა. ვინ მოსთვლის, რამდენი ცრუ-მორწმუნებანი სუფევენ ჩვენს ცხოვრებაში. ეს ცრუმორწმუნება ჩვენს ცხოვრებას დიდს ზიანს აძლევს, სარწმუნოებას ამცირებს და ჩვენ მაინც უმეცრების გამო ვერ დაგვიტოვებია. რა საშუალებით შეგვიძლიან ამ უჩინარ მტერთან ბრძოლა? როგორც ჩვენნი წინაპარნი მტერთან საბრძოლველად ციხე-სიმაგრეებს აშენებდნენ, დღეს ჩვენც მათ სამაგიეროდ უნდა სკოლა-სამკითხველოებს ვაშენებდეთ. როგორც ისინი იმოსებოდნენ დროს შესაფერის იარაღით, ჩვენც სასარგებლო წიგნების კითხვა-გავრცელებით უნდა ვეიარაღდებოდეთ. პატივცემულმა თიანეთის შეგნებულმა საზოგადოებამ სწორედ ამ აზრით და განზრახვით დააარსა თქვენთვის—მდაბიო ხალხისათვის, ეს სამკითხველო-წიგნთ-საცავი და თუ გონივრულად მოიხმართ, დიდს სარგებლობასაც ნახავთ.

და თქვენ, პატივცემულნო ინტელიგენტნო! დასდეთ რა დასაბამი ამა მეტად საჭიროსა და სასარგებლო საქმეს, ვისურვებ მისის დღეგრძელობისათვის ჯეროვანი გულ-მოდგინეობა და შრომა არ მოგეკლოთ. უნდა ეცადნეთ ამ ახლად ფეხ-ადგმულს საქმეს მუხლი გაუმაგროთ და ჩვენს გარშემო სიბნელით მოსილი მდაბიო ხალხი დაარწმუნოთ, რომ ჩვენ აქ მარტო საცხოვრებლად, ჯამაგირების ასაღებად-კი არა, მათის კეთილ-დღეობისა და წარმატების საზრუნველადაც მოვსულვართ,—არ დავემსგავსებით იმ მონას, რომელმაც მიიღო ქანქარი, ჩაფლა მიწაში და არა ასარგებლა-რა.

დასასრულ არ შემიძლიან მადლობა არ გამოვუცხადო და ღრმა პატივის-ცემით არ მოვიხსენო ის პირნი, რომელთაც მიიღეს შრომა და მეცადინეობა ამ კეთილის საქმის აშენებაში. როგორც უწყით, ბატონებო, საძირკველი ამ საქმეს გაუჭრა აქ მყოფმა მასწავლებელმა ბ. ა. მათურელმა, ხოლო ქვა-კუთხედი დასდეს რა ზედ კედლები აღაშენეს ბ. მკურნალმა მ. გედევანიშვილმა და ბ. ი. ცისკარიშვილმა. პატივის-ცემისა და მადლო-

---

კატრინ. ეგ რა სირცხვილია, ეგ ხომ თოფის წამლისაგან არის!

ლეჟევრი. სულ ერთია, ასე არ შეიძლება კრებაში შესვლა.

კატრინ. პირიქით, ასე წადი!

ლეჟევრი. აი, აქ ყოფილა, რაც საჭიროა ჩემთვის (უნდა ხელი დაბანოს თაბახის წყლით).

კატრინ. რას ამბობ, ეგ ლილაა!

ლეჟევრი. (გადადის მეორე თაბახთან) მაშ აქ დავიბან.

კატრინ. როგორ შეიძლება, მანდ სახამებელია.

ლეჟევრი. მა'მ შენს ოთახში შევალ. (მიდის იმ კარებისაკენ, სადაც ნეიპერი შევიდა).

კატრინ. (ჩქარა) არა, წადი ეზოში, ჭაზედ, აი საპონი.

ლეჟევრი. (დაკეტილ კარზედ) ეს რა ამბავია... კარები რად დაგიკეტია?..

კატრინ. მეც ვაპირებდი შინიდგან წასვლას... აა... პირსახოცი... გასწი... ჩქარა...

ლეჟევრი. (არ იძვრება) აქ რაღაც... სულ... სხვა ამბავია!.. რაღაც უნდა იყოს!..

კატრინ. რაო, რაო? კიდევ დაიწყე?

ლეჟევრი. რად გამოგიღია გასაღები?

კატრინ. მე ასე მნებავდა, მერე რა გინდა?

ლეჟევრი. მე ის მინდა, რომ უნდა შევიდე!

კატრინ. შენა?

ლეჟევრი. ჰო მე!

კატრინ. იქ შესვლა შეგეძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემი ქმარი იქნები, მაგრამ მგონია, ეს არ მოხდეს! ისე იქცევი!

ლეჟევრი. (მიიწევს) გასაღები! ჩქარა! მოიტა გასაღები! მე შენ გიბრძანებ!

კატრინ. ხედავთ, რა ამბავშია! თითქოს ხელმწიფე იყოს: „მე შენ გიბრძანებ“!

ლეჟევრი. ხუმრობის დრო არ არის! გასაღები!..

კატრინ. არ გაძლევ!

ლეჟევრი. ააჰ! (ხელს წაავლებს) მაშ იმიტომ არ გაგვიღე კარები იმდენს ხ.ნს, რომ აქ ვიღაც დამალული გყავს... ვინ გყავს მანდ?

კატრინ. რას ბოდავ!.. ვინ უნდა მყავდეს?

ლეჟევრი. ვინ? ვინა და, რასაკვირველია, საყვარელი.

კატრინ. თუნდ ასეც იყოს! მერე შენ რა?.. განა თავისუფალი არა ვარ!

ლეჟევრი. ასე გგონია?

კატრინ. დიაღ!.. ჯერ შენი ცოლი არა ვარ და ნება მაქვს, ვინც მინდა, ის დავმალო...

ლეჟევრი. მერე შენ გგონია, რომ ეგ ისე ჩაგივლის! (უნდა სცემოს) მე შენ...

გვარდიელები. (ხელს დაუჭერენ). გონს მოდი? რას ჩადიხარ?

ლეჟევრი. (გამოეცლება) შორს!... თავი დამანებეთ... მე თითონ გავუსწორდები იმ ლაწირაკს?

კატრინ. (კარინჯით მიკარდება) აბა, გაბედე!..

ლეჟევრი. (ამღვრეული) გესმისთ!..

კატრინ. ახლა-კი გასწი აქედამ... მარშ!!

ლეჟევრი. დამაცა მე შენ... (სტაცებს ჯიბეზედ ხელს, უნდა გასაღები წაართვას).

კატრინ. (ომობს) თავი დამანებე. არავინ მომეშველება... არავინ!..

ყველანი. გაგიჟდი? თავი დაანებე...

ლეჟევრი. იქით... თორემ!..

კატრინ. მატკინე... მატკინე.

ლეჟევრი. (წაართმევს გასაღებს) ააჰ! აქ არის!..

კატრინ. დაიმახსოვრე... თუ ოთახში შედი—ჩვენს შორის ყველაფერი გათავებული იქნება სამუდამოდ!

ლეჟევრი.. იმისა და შენ შორისაც—რადგან მე იმას ეხლავე კისერს მოვუგრეხ...

კატრინ. (მიირბენს და უშლის შესვლას) ჟოზეფ... გევედრები...

ლეჟევრი. გამიშვი-მეთქი (ხელსა ჰკრავს, გვარდიელნი დაიჭერენ).

კატრინ. საცოდავი, საცოდავი!

ვაბუტრენ. ის იმას მოჰკლავს...

კატრინ. და თქვენის წყალობით, თქვე, ლაჩრებო, თქვენა!.. გამიშვით!

ვაბუტრენ. (თავაზიანად დასვამს სკამზედ) Madame Sans-Gêne, აქ მოითმინეთ!.

კატრინ. გამიშვით!.. გამიშვით... (ლეჟევრი გამოდის—ფერ-მიხდილი. სიჩუმე).

ვაბუტრენ. რაო... რა ნახე.?..

ლეჟევრი. რა და... (უნდა გაიცინოს) შეიძლება ამისთანა ხუმრობა... იქ არავინ არ არის!

ყველანი. არავინ?

ლეჟევრი. (ჩაკეტს კარებს. კატრინ მისჩერებია) სულ არავინ!..

ვაბუტრენ,.. ეხლა-კი, ძმაო, უნდა ეცადო, შეურიგდე Sans-Gêne-ს.

ლეჟევრი.. ვეცდები... დაგვტოვეთ მარტოდ. (გვარდიელნი მოშორებით დადგებიან). რატომ წინდა-წინვე არ მითხარ, რომ იქ მკვდარია!.

კატრინ. მკვდარი, განა მოკვდა?..

ლეჟევრი. დიაღ.

კატრინ. საწყალი ყმაწვილი! რაღა ვუყოთ ახლა...

ლეჟევრი. უნდა შინ წავიღოთ..

კატრინ. სად შინ?.. რა ვიცი, სადა დგას!.. ვერაფრის თქმა ვეღარ მოასწრო. მითხრა მხოლოდ გრაფი ნეიპერი ვარო და მე მეტი არა ვიცი-რა!..

ლეჟევრი. მაშ არ იცნობ?

კატრინ. საიდგან უნდა ვიცნობდე!

ლეჟევრი. აბა რად დამალე?

კატრინ. კარებს რომ ვკეტავდი, შემოვიდა, დაჭრილი, სულს ღაფავდა—თქვენც გიჟებივით შემოვარდით; ვიფიქრე: მოჰკლენ-მეთქი და აი იქ.. ოჰ... რას მიყურებ ეგრე?

ლეჟევრი. მინდა გავიგო, სტყუი თუ არა? თუ მართლა არ იცნობ..

კატრინ. პირველად ვხედავ-მეთქი დღეს!..

ლეჟევრი. შესაძლებელია მაინც შენი საყვარელი ყოფილიყოს!

კატრინ. რას ჩერჩეტობ.. როიალისტი, მეფის მომხრე და ჩემი საყვარელი?!..

ლეჟევრი. ჩუმად.. რომ გაიგონონ!.

კატრინ. დიდი საქმეა... თუ-კი მოკვდა, რაღა შიშია!..

ლეჟევრი. არ მომკვდარა!

კატრინ. (სიხარულით) ჰხედავ... მაშ ამდენს რათ მალაპარაკებ!...

ლეჟევრი. მე მსურდა მართალის გაგება და გავიგე კიდეც (მოჰხვევს წელზედ ხელს. კატრინს სურს ლაპარაკი) დაჩუმდი... მოუარე კარგად, საღამოზედ შემოვირბენ და ვუშველოთ—გავაპაროთ.

კატრინ. ოჰ, რა კეთილი გული გაქვს!.. ოქრო ხარ, ოქრო! რა რიგ მიყვარხარ!..

ლეჟევრი. მაშ აღარ მიჯავრდები?

კატრინ. განა ვერ მატყობ—თუ რა ძვირფასი ხარ ჩემთვის?! (მოეხვევა ყელზედ).

გვარდიელნი. ბრავო, ბრავო!.. მაშ მორიგებაა, რაღა?

ლეჟევრი. დიაღ, მოვრიგდით და ისე მტკიცედ, რომ ჯვარსაც ვიწერთ! (სცენის გარედგან მოისმის ხმაურობა. ხალხი მიდი-მოდის. გამოჩნდება ჯარი. მარსელიეზას უკრავენ).

გვარდიელნი. მიდიან. ჩვენც უნდა გავწიოთ.

ლეჟევრი. (კატრინს მაგრად ჰკოცნის) ნახვამდის! მუსიკა. კიჟინა, გაშა, ძახილი).

(ფარდა დაეშვება).

კ. მესხი.

(შემდეგი იქნება).

ბის ღირსია აგრეთვე ბ. ი. ჩიბალაშვილი, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო წიგნთ-საცავს ოთახი და მის მართვა იკისრა. ახლა თქვენ, ნორჩნო ყრმანო! თქვენ მრავალჯერ გსმენიათ ჩემგან ეს დარიგება, რომ როდესაც სკოლიდგან გამოხვალთ, მაინც კავშირს ნუ შესწყვეტთ და უექველად იქონიეთ მასთან კავშირი. რაც გსმენიათ, და გისწავლიათ, რომ არ დაგავიწყდეთ, უნდა მიგქონდეთ წიგნები და მასწავლებლებისა და მოძღვრის ხელმძღვანელობით თავისუფალს დროს კითხულობდეთ. სკოლა დღევანდლამდე მოკლებული იყო შემწეს... წიგნები არა ჰქონდა. დღეს აი თქვენმა კეთილის მყოფელებმა დაგიარსეს ეს წიგნთ-საცავი, რომელიც მეორე სკოლობას გაგიწევთ. ეცადენით, კეთილ-საიმედო პირების ხელმძღვანელობით კითხულობდეთ სასარგებლო წიგნებს; დაიხსომეთ კარგად დღევანდელი დღე და რაცა ვსთქვი, ის თუ ვერ დაიხსომეთ, რაც ნახეთ თქვენის თვალით. ის მაინც ჩასწერეთ თქვენს პატარა გულის ფიცარზედ, რომ ყოველს კეთილს საქმეს ლოცვა-ვედრებით ვიწყებთ და მადლობით ვათავებთ. კარგად დაიხსომეთ რომ:

„სწავლა სიკვდილმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი.
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი
და თუ კაცს ცოდნა არა აქვს—გასტანჯავს წუთი-სოფელი?

სიტყვის შემდეგ მ. კოშორიძემ აიაზმის წყალი ასხურა წიგნთ-საცავის ოთახს. ამ დროს ი. ცისკარაშვილმა დამსწრე გლეხ-კაცობას სახალხო წიგნი: „თევდორე მღვდელი“ დაურიგა და ნასიამოვნები საზოგადოება დაიშალა.

ამავე დღეს, 30 მაისს, თიანეთლებს გამოგვეთხოვნენ ორი ფრიად სასარგებლო და საპატიო პირნი—მაზრის მკურნალი მ. გედევანიშვილი და თავ. ა. ჭავჭავაძე. საზოგადოება დიდის სიყვარულითა და პატივისცემით გამოეთხოვა ხსენებულთ პირთ და გამოსათხოვი სადილი გაუმართა. სადილს სამოცი ქალი და კაცი დაესწრო. სადილს ვერ დაესწრო მხოლოდ თავ. ა. ჭავჭავაძე, რამაც პატივსაცემად შეკრებილი საზოგადოდოება, როგორც მოსალოდნელი იყო, მცირედ დაალონა. მაინც სადილმა ძალიან მხიარულად ჩაიარა. სადილზედ ბ-ნმა ნ. ი. ალექსი-მესხიშვილმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დაუხატა დამსწრე საზოგადოებას ხსენებულ პირთა მოღვაწეობა, თუ რამდენად გულმოდგინედ და საქმის სიყვარულით ასრულებდნენ თავისს მოვალეობას და ან როგორის სიყვარულით ეპყრობოდა მათ მთელის მაზრის ხალხი. აქ ალექსი-მესხიშვილმა მოიგონა ა. ჭავჭავაძესთან ერთად როგორ შემოირა მთელი მაზრა და როგორის ალტაცებით ეგებებოდა ყველგან მათ ხალხი. ესეთის სიყვარულის დამსახურება ხალხში სასიხარულოა და შესაშურიც არისო, სთქვა ალექსი-მესხიშვილმა. სხვათა შორის სიტყვაში ასე მიჰმართა ალექსი მესხიშვილმა საზოგადოების საყვარელს წევრს:

„მიშო“! შენ გვტოვებ და მიდიხარ საზღვარ გარედ, რათა უმეტესი სწავლა-განათლებით აღჭურვილი დაბრუნდე შენს საყვარელს პაწია სამშობლოში და სარგებლობა მოუტანო მას. გახსოვდეს, ჩემო კარგო, რომ ჩვენი ქვეყანა ბუნებით მდიდარი—ღარიბია სწავლულ-განათლებულ შვილებით, რომ სამშობლო, როგორც მოხუცი უძლური დედა, მოელის თქვენისთანა ახალგაზდა, ნასწავლ შვილებისაგან არსებითს ბურს. არ გაუმტყუვნო დედა-შენს თავისი იმედი!..“-ო

სიტყვას გრძელი კახური „მრავალჟამიერი“ დამსწრე ხანგრძლივი „ვაშა“ მოჰყვა.

მეორე დღის დილის 8 საათამდე მხიარულობდა დამსწრე საზოგადოება და ბოლოს გულით ნასიამოვნები გამოეთხოვა მ. გედევანიშვილს.

ი. კახელი.

## რუსეთის ცხოვრება.

როგორც იუწყებიან პეტერბურგიდგან, საერო განათლების სამინისტროში საგანგებო კომისია შემდგარა, რომელსაც მინდობილი აქვს თურმე გამოიკვლიოს ფრიად საყურადღებო საგანი მუშათა მცირე-წლოვან ბავშვთა აღზრდის შესახებ. როგორც საფაბრიკო ინსპექციის მიერ შეკრებილ ცნობებიდგან სჩანს, რუსეთში ამ ჟამად 213 საფაბრიკო სკოლა არსებობს. და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ბევრი ამათში ორ-ოლ განყოფილებისაგან შესდგება, მაშინ ხსენებულ სკოლათა რიცხვი 278-დის ავა. ხსენებულ სკოლათა კურსი სამ წლიურია და ძალიან ცოტათი განირჩევა სხვა ამ გვარ სკოლათაგან. ამ სკოლებში სულ 19,000 ბავშვი სწავლობს, რომელთა შორისაც მცირე წლოვანი მუშა ბავშვი 6,232 სული ითვლება. მაგრამ რადგანაც მცირე-წლოვან მუშათა სხვა ბავშვებთან ერთად სწავლას ერთი საყურადღებო ნაკლებულება აქვს და სახელდობრ ის, რომ ისინი მუდამ უფრო გვიან მოდიან სკოლაში და სხვებზედ ადრე მიდიან შინ, რასაც ერთხმად ამტკიცებენ სხვა-და-სხვა სამოსწავლო ოლქთა უფროსები და მზრუნველები, რადგანაც ხშირად ძალიან ცუდს მოვლენას ახდენს ხოლმე ასეთი ნაკლებულობა დანარჩენს მოწაფეებზედ, ამიტომ ეს საგანი განსახილველად პროფესიონალისტთა კრებას გადაეცა პეტერბურგში. ეს საგანი კრებას ა. გ. ნებილსონმა მოახსენა და გამოიანგარიშა, რომ ასეთის სკოლების ხარჯი 1,400,000 მან. მოითხოვსო. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ დაადგინა: მცირე-წლოვან მუშათა სწავლისათვის უთუოდ ყველა ფაბრიკა-ქარხნებთან უნდა იქმნას დაარსებული სკოლები და სავალდებულოდაც შეიქმნეს ყველასათვის სკოლაში სიარულიო.

ამ აზრის განსახორციელებლად განზრახულია მეფაბრიკეთ გარდასახადი დაედოთ. კრების გარდაწყვეტილება მთავრობას მოხსენდა. ამ ჟამად შეკრებილი მასალა ამ საგნის შესახებ მთლიანად ხსენებულმა კომისიამ უნდა განიხილოს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„ნოვოე ვრ“. ძალიან უჯავრდება ინგლისს: დღე არ გავა ისე, რომ ინგლისის პარლამენტმა პატარა დემონსტრაცია მაინც არ მოახდინოსო რუსეთის წინააღმდეგ. ბოლო დროს ერთმა დეპუტატმა ბათუმიც გაიხსენაო და მთავრობას დაეკითხა, რათ დაარღვია რუსეთმა ბერლინის ხელშეკრულობა ბათუმში და რად მოსპო პორტოფრანკო ბერლინის ტრაქტატით, ამბობს „ნოვ. ვრ“., რუსეთი დასთანხმდა ბათუმში პორტოფრანკოს დაარსებასა—ესე იგი საზღვარ გარეთიდგან საქონლის უბაჟოდ მოტანასა. მაგრამ შემდეგში, როდესაც კავკასიის ტრანზიტი გაუქმებულ იქმნა და ბათუმის პორტოფრანკომ დაჰკარგა თვისი მნიშვნელობა, რუსეთის მთავრობამ საჭიროდ დაინახა პორტოფრანკოს სამოქმედო ასპარეზის შემცირებაო. რუსეთს პორტოფრანკო-კი არ მოუსპია ყბედობს სუვორინის გაზეთი, მან მხოლოდ შეამცირა ის ადგილი, რომელიც პორტოფრანკოთ იყო თავდაპირველად ცნობილი და ბერლინის ტრაქტატში სრულიად არ არის ნათქვამი, რომ რუსეთს არ ჰქონდეს უფლება ამგვარის შემცირების მოხდენისაო. თუ უწინ მთელი ქალაქი იყო პორტოფრანკოთ აღიარებული, რუსეთი არც ახლა უშლის ვინმეს მოიტანოს უბაჟოდ საქონელი და დააწყოს ბათუმის საბაჟო საწყობებშიო.

რად არ ანებებს თავს ინგლისი რუსეთსაო? კითხულობს „ნოვ. ვრ.“ და ამგვარის მუქარით ათავებს წერილს:

„ინგლისის ამგვარი პოლიტიკა ბოლოს და ბოლოს მოთმინებას დააკარგვინებს რუსეთს და იძულებულად გახდის მას ინგლისის აზიაში სამფლობელოსთან ახლო მიიწიოს“.

მუქარის აღსრულება რომ ისე ადვილი იყოს, როგორც წარმოთქმა, ქვეყანა ყბედთა სანავარდოთ გარდიქცეოდა და მთელი აზია სუვორინის საკუთრებად!

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ზოგიერთი გაზეთები კვლავ ამტკიცებენ, რომ რუსეთისა და საფრანგეთის ხელშეკრულება ოფიციალურად გამოცხადდება, რა წამსაც კილის დღესასწაული გათავდებაო.

—

რუსეთისა და საფრანგეთის გემები როდესაც კილის არხის დღესასწაულებზედ დასასწრებლად მიდიოდნენ, დანიის სამხრეთით ერთმანეთს შეხვდნენ. საფრანგეთის ხომალდები ადმირალ მენარის წინამძღოლობით წინ წავიდა. რუსეთის კონტრ ადმირალმა სკრიდლოვმა პატივისცემის ნიშნად რუსეთის ხომალდები საფრანგეთის ხომალდებს უკან მიაყოლა.

—

**პარიში.** კილ! რა ხშირად ხმარობენ ამ სიტყვას, რომ იცოდეთ პარისში და რა საშინელი დავა და გაცხარებული მსჯელობა მოჰყვება ხოლმე მას. ფრანგთა ესკადრის მოგზაურობა კილში არც ერთს მკვიდრს არ მიაჩნია სასიამოვნოდ. შოვინისტებზედ ლაპარაკი ხომ მეტია, მეტადრე იმ შოვინისტებზედ, რომელნიც პროფესიონალურის მიმართულებისა არიან. ამ ვაჟბატონებს, აღჭურვილთ შურის-ძიებით, თითქმის არჩობთ დრტვინვა და სიანჩხლე ყოველთვის, როდესაც წარმოიდგენენ, რომ კილელს დღესასწაულში ფრანგთა ესკადრამაც მონაწილეობა უნდა მიიღოს. შოვინისტები იმ კრებებზედ, რომელთაც „პატრიოტული კრებები“ ეწოდებათ, ამგვარს განზრახვას საზიზღარ სულმდაბლობად უთვლიან საფრანგეთის მთავრობას, რომელიც იმცირებს თავს იმპერატორის ვილჰელმის წინაშე და მასთან სამშობლოსაც ღალატობენ. რასაკვირველია, თვით პატრიოტულ კომიტეტთა მეთაურთაც არა სწამთ სინამდვილე ასეთის ბრალდებისა, მაგრამ მათ უნდათ პარისის მცხოვრებთა შორის გააღვიძონ წინააღმდეგი გრძნობა მთავრობის ამგვარის განზრახვის შესახებ და ბლომად მოიპოვონ თანამოზიარენი. აი, ამისათვის ყოველს ღონისძიებას ხმარობენ და არაფერს არ ერიდებიან; ამ განზრახვით მათ კიდევაც შეჰკრიბეს რაოდენიმეჯერ „პატრიოტული კრება“ და ეხლა მანიფესტაციებსაც მიჰმართეს... 3 ივნისს, საღამოზედ, რედაქცია შოვინისტთა პატარა გაზეთისა la patrie, თავისის რედაქტორის სახელ-განთქმულის მილვუას მეთაურობით, რომელსაც, სხვათა შორის, რაოდენიმე ასოთ-ამწყობი ახლდა, მივიდა «თანხმობის მოედანზედ» და სტრასბურგის ძეგლს გვირგვინი დასდო. რედაქციას ეგონა ამ მოედანზედ ხალხი ბევრი იქნებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა: იქ ხალხი სრულიად არ იყო. 4 ივნისს მილვუამ, მენორვალმა, ტრედ-კალმა და სხვ. შეჰყარეს ყველა თავისი კომიტეტები „Jalle Anglage“-ში, სადაც წარმოთქმული იყო მრავალი სიტყვა პატრიოტულის ხასიათისა. პროტესტი მმართველობისაგან ქვეყნის დამამხობელის გამსყიდველის პოლიტიკის მიყოლისა „წინააღმდეგ და გარდასწყვიტეს გვირგვინის წაღება „თანხმობის მოედანზედ“. ამ შემთხვევაში იმის მიზეზით, რომ იმ დღეს დღესასწაული იყო, იმ გროვამ, რომელსაც მიჰქონდა დიდი გვირგვინი ყვავილების შავის ლენტებით, ისეთი სურათი გამოსახა და ისეთი შთაბეჭდილება იქონია ხალხზედ, რომ პოლიცია წესიერების აღსადგენად იძულებული იყო ღონისძიება ეხმარა და გაეფანტა ხალხი; მაგრამ ორჯერვე მისი მეცადინეობა ფუჭი შეიქმნა. მოედანზედაც შეიკრიბა დიდ-ძალი ხალხი და სტრასბურგის ძეგლზედ დასდვეს გვირგვინი და აღტაცებით ყვიროდნენ: გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს რესპუბლიკას! გაუმარჯოს ელზას-ლოტარინგიას!.. უნდა-კი კაცმა მართალი სთქვას, რომ პატრიოტები, თუმცა-კი აცხადებენ პროტესტს, მაგრამ ძლიერ ფრთხილობენ, თავი კარგად უკავიათ, სცდილობენ პოლიციასთან შეტაკება არ მოახდინონ და გერმანელთ არც-კი ახსენებენ.

მეტის მეტად საწყენად რჩებათ ფრანგთა კილში მოგზაურობა ამ ჟამად პარისში მყოფ ელზას ლოტრანგელთაც. ისინი შიშობენ, რომ ეს გარემოება გერმანიაში, ანუ მათს სამშობლოში აიხსნება როგორც საფრანგეთისა და გერმანიის შერიგება; შიშობენ ამ გარემოებამ არ წაართვას მათს თანამემამულეთ იმედი გერმანიისაგან დახსნისა და ამისათვის სასტუმრო „ლემარდელში“, სადაც დიდ-ძალი ხალხი იყო, იმათ კიდევ ერთჯერ გამოუცხადეს მთელს ქვეყანას, რომ ელზას-ლოტარგელნი არასოდეს არ დაივიწყებენ მათ შესახებ მომხდარს ძალადობასაო.

ყოველივე ამას ბრბო თანაუგრძნობს. ზოგიერთი-კი, თუმცა ძალიან იშვიათად არ ღებულობს მონაწილეობას შოვინისტთა მანიფესტაციებში, რადგანაც მას საშიშოდ სთვლის; ჰფიქრობს, რომ, რადგანაც საგანი გარდაწყვეტილია, იმის წინააღმდეგ აღჭურვა ხალხისაგან შეიძლება საჭირ-ბოროტო მოვლენად შეიქმნეს მთავრობისათვისო... მაგრამ მაინც მოგზაურობა კილში ყველას აწუხებს: ზოგი ამას საფრანგეთის დამამცირებელ საგნად სთვლის და უკმაყოფილებას აცხადებს თავიანთს დიპლომატებზედ, რომელთაც ვერ შესძლეს ეს გარემოება თავიდგან აეცილებინათ; ზოგი ჰფიქრობს, რომ ასეთი მოგზაურობა დიდს სამწუხარო შთაბეჭდილებას მოახდენს ელზას-ლოტარინგელებზედო, ზოგი აღშფოთებული არის ამ გვარის ნაბიჯით, რომელსაც ძალა-უნებურად შეუძლიან დაჰბადოს საფრანგეთსა და გერმანიას შორის კავშირი და ამისათვის ამ ნაბიჯს დიდი ცვლილება შემოაქვს მესამე რესპუბლიკის ცხოვრებაშიო. ისინი ამბობენ, რომ მთავრობა მართალი არ არის, როდესაც ამტკიცებს, რომ ასეთი მისი განკარგულება სავალდებულო ზრდილობა არის და ამისათვის თვისს მოქმედებას კანონიერად სთვლისო. მათის აზრით ამ ორმა ქვეყანამ მხოლოდ იმდენად უნდა დაიკავონ ერთმანეთში კავშირი, რამდენად ამას სახელმწიფო საქმეები და ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ; თანაგრძნობა და ალერსი მათს შესახებ სრულიად სავალდებულო არ არის ჩვენთვისო. თვით გერმანიაც ასე მოიქცა. არ მიიღო მონაწილეობა 1889 წლის გამოფენაში. ამგვარადვე უნდა მოქცეულიყო საფრანგეთიცაო. საფრანგეთის მთავრობა, რომელმაც ეს პირველი, თუმცა არა სანატრელი თანაგრძნობა გამოუცხადა თვისს მტერს გერმანიას, უთუოდ მეორესაც, მესამესაც და სხ. თანაგრძნობასაც გამოუცხადებს მას და ბოლოს ამით დამკვიდრდება ამ ორთა შორის სიახლოვე და კავშირი. ეს გერმანიისათვის საჭირო და აუცილებელია, რადგანაც იმათ კარგად იციან, რომ მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას შეითვისოს ელზას-ლოტარინგელნი და სამუდამოდ დაავიწყოს ამ უკანასკნელთ თავისი მწარე ხვედრი. რასაკვირველია, რომ გერმანია ასეთის სანატრელის საგნის მისაღწევად არ დაზოგავს არავითარს საშუალებასაო.

საზოგადოდ, ფრანგთა ესკადრის მიერ მონაწილეობის მიღება კილის დღესასწაულში საშინლად ჰქეჯნის და სტანჯავს ფრანგთა თავ-მოყვარეობას და ჰბადებს საერთო დრტვინვას, მაგრამ მაინც სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ მილვუა და სხვა მეთაურნი პატრიოტულ წრეთა ისეთს თანაგძრნობას ხალხისას ვერ მოიპოვებენ ამ შემთხვევაში, რომ ხსენებულმა დღესასწაულმა პარისში რაიმე უკიდურესი უწესოება და შემთხვევა გამოიწვიოს.

## წვრილი ამბები

ქ. სამარაში გარდაიცვალა „პუგაჩევის დროის“ დამსწრე ლავრენტი ეფიმოვი; ეს უკანასკნელი 150 წლი-

სა იყო. (პუგაჩევის დრო შესანიშნავია რუსეთის შინაგან ისტორიაში, როგორც აჯანყების დრო, რომელმაც რუსეთი ძლიერად შეარყია).

—

ამ დღეებში დრეზდენში (გერმანიაში) ფრიად სიყურადღებო გამოცდა მოახდინეს ეგრედ წოდებულ სამხედრო აზრით გაწვრთნილ ძაღლებისა. სადოლე მოედნის ჩრდილო-სამხრეთ მხარეზედ ჯარის კაცთა რაზმი იდგა; ეს რაზმი ვითომ და მტრისაგან ჰფარავდა ცხენებს. რამდენიმე უნტერ-ოფიცერი გაგზავნეს წინ ძაღლებითურთ ვითომდა მტრის დასათვალიერებლად; ასი ოდ-რის კილომეტრით რომ დაშორდნენ ჯარს, უნტერ-ოფიცრებმა ძაღლები უკან გაგზავნეს ამბის მისატანად. თუმცა ძალიან ცხელოდა, ძაღლები ორის წამის განმავლობაში მაინც ასწრებდნენ ჯართან მისვლას პასუხის გადასაცემად; ხოლო ერთმა იმათგანმა რამდენჯერმე გაირბინა ეს მანძილი ერთის წამის განმავლობაში. ამ ნაირად ჯარის კაცთა რაზმს ყოველს წამს შეეძლო შეეტყო, რამდენად ახლო იყო მტერი და ცხენები თვალიდგან მოეფარებინა. შემდეგ სცადეს, თუ რამდენად შესაძლებელია სროლის დროს ძაღლების შემწეობით ტყვია-წამალი გადაეცეს მეომარს ჯარს. ძაღლებს ამ განზრახვით ზურგზედ უნაგირივით რაღაცა ადგათ, სადაც 300-დის სროლა ტყვია-წამალია ჩალაგებული; ამნაირად დატვირთული ძაღლი მეომართ წინ გაურბენს და ვისაც რამდენი სროლა სჭირდება, ამოიღებს. როდესაც ტყვია-წამალი გამოელევა, ძაღლი უკან გარბის ხელ-ახლად მოსატანად. ასევე სძებნიან გაწვრთნილი ძაღლები ომის დროს დაჭრილთ.

## სასამართლოს მატიანე.

—

სამშაბათს, 13 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში მოისმინეს საქმე სომეხთა მღვდლის ტერ-კონსტანტინე არარატიანცისა და მნაცაკან მელიქოვისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ, რომ 1892 წელს სანათლისღებოდ ვანქის ტაძართან მტკვრის ტოტზედ ხიდის გადების დროს, რომელზედაც საეკკლესიო კორტეჟს უნდა გაეარნა, თქვენ არავითარი საშუალება არ იხმარეთ, არ გაასინჯეთ ხუროთმოძღვრებს ხიდი და მოსალოდნელი ხიფათი თავიდგან არ აიცილეთო. ამისი მიზეზი იყო, რომ ხიდმა კორტეჟის გავლის შემდეგ ხალხი ველარ შეიმაგრა, ჩაიმტვრა და ოცდა-ათი კაცი დაირჩოო. ოლქის სასამართლომ ორივე ბრალდებულნი გაამართლა, მაგრამ ბრალმდებელმა ხლოდოვსკიმ წინაალმდეგობა განაცხადა და პალატას მოსთხოვა გასამართლება; ხლოდოვსკიმ სთქვა, რომ ბრალდებულთ დანაშაული მიუძღვით დებულებათა 1466 მუხლის ძალით, მაგრამ უმოწყალესის მანიფესტის ძალით დაპატიმრება ეპატიებათ; ხოლო რაც შეეხება მღვდელს არარატიანცს, რომელსაც სიყალბე შეეტყო საქმეში, ამას სასჯელი ერთი მესამედით შეუმცირდებაო. ვექილთა, ოპოჩინინისა, რომელიც არარატიანცს იცავდა და მელიქ-ადამოვისა, მელიქოვის მხრივ, სიტყვათა შემდეგ პალატა საბჭო ოთახში გავიდა და შემდეგი გარდაწყვეტილება გამოაცხადა: ბრალდებულნი დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი, ამიტომ მათ ეკკლესიამ უნდა დასდოს სასჯელი, როგორც-კი სცნობს საჭიროდ სასულიერო მთავრობაო.

## თეატრის მატიანე.

—

სიღნაღი. საზოგადო საკრებულო დარბაზში საქველ-მოქმედო აზრით ქართველ სცენის მოყვარეთ გუშინ, 11 ამ თვეს, საღამოთი წარმოადგინეს „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“, კომედია ხუმრობა 4 მოქმედ. ვალ. გუნიასი და ვოდევილი „ახირებულია“, ნათ. ნ. ყიფიანისა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს კნ. ნ. და ე. თ. ს. თ. ანდრონიკაშვილის ასულთ. ქ-ნ ვ. მაისურაძისამ, ბ-ნმა ნ. ძიძიკოვმა, თავ. ნ. აბაშიძემ, თავ. მ. ჩოლოყაშვილმა, ვ. ს. ბეგიაშვილმა და გ. შოშიაშვილმა. გარდა ამ ზემოხსენებულ პირთა დიდი შრომა მიუძღვის თავ. მ. ს. ანდრონიკაშვილმა ბილეთების გაყიდვაში და სხვათაც. კომედია „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“ მშვენიერად და მწყობრად ითამაშეს თითო-ოროლა წვრილმან შეცდომის გარდა, ასე რომ ეს შეცდომები არცკია შესანიშნი. ვოდევილში ცოტა როლების უცოდინარობა ეტყობოდათ. მაგრამ მაინც საზოგადოება დარბაზიდგან ძლიერ ნასიამოვნები დაბრუნდა შინ. არც საზოგადოება მოეპყრა უგულოდ და პროვინციულ ქალაქისა დაგვარად ამ წარმოდგენაზედ ბევრი დაესწრო ხალხი. მოთამაშენი საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშითა და ვაშას ძახილით დააჯილდოვა. შემოსავალი ამ წარმოდგენისა გადადებულია ტფილისის იაფ-ფასიან სახალხო წიგნების გამომცემელ საზოგადოების სასარგებლოდ. დიდის მადლობის ღირსნი არიან ზემოხსენებულნი პირნი, რომ თავიანთი გარჯა და შრომა არ დაიშურეს საქველმოქმედო საქმისათვის და დაუზარებლად შეასრულეს თავისი საქმე.

ქართველი.

ქ. სიღნაღი,
12 ივნისი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც აღმოუჩინეს ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს შემწეობა; აი სია შემომწირველთა: კასიან დუდუჩავამ და იოსებ ჟღენტმა ორ-ორი მანეთი. ტიმოთე კუკულავამ ექვსი აბაზი, თომა ებრალიძემ, სოფრომ ბარამიძემ, იაგორ კუკულავამ, კაცია კუკულავამ, კახტანგ გიგანეიშვილმა, დიმიტრი ჯავახიშვილმა, ივანე კვასხვაძემ, ივანე სვანიშვილმა, ირაკლი თედორაძემ, ერისტო გოგიჩაიშვილმა, ბესარიონ ფირცხალაიშვილმა, ნესტორ ურუშაძემ, ივანე ებრალიძემ, ნიტიფორ წილოსანმა, ფილიპ ალექსეევმა თითო მანეთი. ელისო გოგვაძემ 60 კ., სილოვან ვადაჭკორიამ 55 კ., გიორგი ფირცხალაიშვილმა, ოქროპირ პატარაიამ, აგის ჩხაიძემ, ივანე კვეტაშვილმა, კირილე გელაძემ, ქრისტეფორე სვანიშვილმა, ს. სალომიკიდგან მალაქია მენაღარიშვილმა, იაგორ გვარჯალაძემ, კონსტანტინე იმნაძემ, ესტატე წულაძემ, კოსტანტინე ებრალიძემ, ილია გოგიჩაიშვილმა, სილოვან ერქომაიშვილმა, მათე გვარჯალაძემ, ვლადიმერ ჩემიამ ათ-ათი შაური, ნიკო კილაძემ, სეფე ცინცაძემ, ქიშვარდი ორგველაძემ, ნიკო იმნაიშვილმა, მიხეილ სიხარულიძემ, ნიტიფორ მათითაიშვილმა, კალისტრატე ჩაჩავამ, სოლომონ ღლონტმა, ლავრენტი ჩაგუნავამ, სილვან ქართველაიშვილმა, კოსტანტინე დარჩიამ, გიორგი ზენაიშვილმა ოროროი აბაზი; გიორგი დარაშელოვმა 30 კ., ნესტორ მელაძემ, გიტო ცინცაძემ, ფარნაოზ შაქარიშვილმა, ბართლომე ჯორბენაძემ, ივანე აბრალაძემ, მანასე ფარცხალაიშვილმა თითო აბაზი და კოსტანტინე იმნაძემ 1894 წლის თორმეტი ცალი ჟურნალი „მოამბე“.

სამკითხველოს გამგე კირილე წილოსანი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 ივნისი.

**პეტერბურგი.** ორმოც-და-ათის წლის სამსახურისთვის გენერალ-ადიუტანტს თავად სვიატოპოლკ-მირსკის ებოძა წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენი.

პენზენის გუბერნატორი გენერალი გორიაინოვი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრად.

გოფმეისტერი ნეჩაევ-მალცევი დაინიშნა საერო განათლების მინისტრის საბჭოს წევრად.

**ლონდონი,** 13 ივნისი. ამხანაგებთან მოლაპარაკების შემდეგ ლორდ სოლსბერი მივიდა ვინძორის სასახლეში და განუცხადა დედოფალს, რომ თანხმა არის შეადგინოს სამინისტრო. პარლამენტის ლიდერის თანამდებობას და საფინანსო უწყების მართვას იკისრებს ბალფური; ჩამბერლენი დაინიშნება კოლონიათა საქმეების გამგებლად.

**ბელგრადი,** 13 ივნისი. ამბობენ, რომ მთავრობას განუზრახავს მოიწვიოს პარლამენტი 6 ივლისისათვის.

**სოფია,** 13 ივნისი. გაზეთ „პრავო“-ში დაბეჭდილი დეპეშა ამბობს, რომ ბრძოლა ოსმალეთის ჯარისა და პალანკის ოლქის აჯანყებულთ შუა გაგრძელდა ხუთს დღეს. პარასკევს კურატოვის ახლო შეტაკება მოხდა აჯანყებულთ მეორე რაზმისა და ოსმალეთის ჯარის შორის.

**სტამბოლი,** 13 ივნისი ხმა არის, რომ ოსმალეთის საიუნკრო სასწავლებელში შეთქმულობა აღმოუჩენიათ. დატუსაღებულია ოც-და-ათამდე მოსწავლე იუნკერი. ნახულ წერილებიდგან სჩანს, რომ კარგა ხანია განუზრახავთ სულთანის მოკვლა. შეთქმულთ განუზრახავთ—კენჭით აერჩიათ ის, ვისაც უნდა მოეყვანა შეთქმულება სისრულეში. ამბობენ, შეთქმულნი დაკარგულ იქნებიან, ხოლო სასწავლებელს გააუქმებენ.

პეტერბურგის ბირჟა, 13 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | — „ | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 206 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . | 101¾ | — ,, | —,, |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა. . | 99½ | — ,, | — ,, |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — ,, | — ,, |
| 5% იმავე ბანკისა . | 99½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⅝ | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½, საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპ ის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით იძლევა ქირით პავილი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—8)

კარგისა და საიმედო ყოფა-ქცევის გასათხოვარი ქალი ეძებს ადგილს მოზრდილ ბავშვების მომვლელისას; კარგად იცის წერა-კითხვა და კერვა და ქსოვა. შეიძლება სოფლადაც გაჰყვეს მსურველთ კარგს ოჯახში. ადრესი მსურველთ რედაქციაში შეუძლიანთ დასტოვონ.

(2—1462—1).

ისყიდება
ახალი წიგნი
ორი პიესა
იერ. გულისაშვილისა.
1) ცხოვრება ბრძოლაა
2) დრონი მეფობენ.
ფასი ათი შაური.

(5—5).

ცხოვრება
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.

ვკისრულობ

ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარ სარჩელს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების ბანკებში დაგირავებას.

მსურველთ მოვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრეს: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—„)

იხმარეთ მხოლოდ

საპონი „ვაზელინი“—იაფი, კარგი, პრაქტიკული და მარგებელია.

ჭიგიენის „ამხანაგობისა“ ს.-პეტერბურგში.

ს.-პეტერბურგი, ალექსანდრ. მოედ., 9., მოსკოვი, ვარშავა.

ისყიდება ყველგან.

(9—7—1).


Дозволено цензурою, Тифлисъ 12 го Іюня 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამ ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.